სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 47/3

ქ. თბილისი „12“ „02“ 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით, და მეორე მხრივ, შპს „ალგორითმი“ შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის გივი კოროხაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება
2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA140002443) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2014 წლის ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ კომპიუტერული მოწყობილობების (CPV30200000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი 16820 (თექვსმეტი ათას რვაასოცი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
3.1 საქონლის აღწერილობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტის ,,ფასების ცხრილის“ (დანართი 2) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები
4.1. ადგილი და ვადები:
4.1.1. საქონლის მოწოდების განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, არაუგვიანეს 10 კალენდარულ დღეში.
4.2.2 საქონლის მოწოდება განხორციელდება ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში;

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.
7.1.3. უზრუნველყოს საგარანტიო მომსახურებას დაქვემდებარებული საქონლის შეცვლა/შეკეთება ,,შემსყიდველის“ მხრიდან ყოველგვარი დანახარჯის გარეშე.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი.

9. საგარანტიო მომსახურება
9.1. "მიმწოდებელი" უზრუნველყოფს მოწოდებულ საქონელზე საგარანტიო მომსახურებას 3 (სამი) წლის განმავლობაში საგარანტიო პირობების შესაბამისად. დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელმა დაზიანებული პორტაბელური კომპიუტერი უნდა შეაკეთოს ან შეცვალოს ახლით 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3. სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული ან სხვა ცვლილებების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს მომსახურების შეწყვეტა (სრული ან არასრული მოცულობით), და შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტა ვადაზე ადრე ან შეთანხმების გაფორმება.
10.4 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
14.1. ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი: ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი ბესიკ კვეტენაძე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.
15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.
15.3. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 1 აპრილის ჩათვლით.

17. ზოგადი პირობები
17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (---- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - `მომწოდებელთან", ხოლო ორი - `შემსყიდველთან".

,,შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა	შპს ,,ალგორითმი"
და სოციალური დაცვის სამინისტრო	ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 6კმ.
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ.N144	ს.ს. "საქართველოს ბანკი"
ფინანსთა სამინისტროს ხაზინის სააღსრულებო	კოდი BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი 211333957	ანგ. N GE02BG0000000272346607
	საინდიფიკაციო კოდი 205043237
----------	----------
დავით ლომიძე	გივი კოროხოლი
მინისტრის მოადგილე	დირექტორი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შესყიდული საქონლის
მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „ —— “ ———— 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ბატონი .....

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი .....
(ორგანიზაციის დასახელება)

.....
(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ .....

.....

2014 წლის „ .....“ „ .....“ № ..... ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

..... თვეში შესყიდული საქონლის ღირებულებამ
(თვის დასახელება)

შეადგინა .....
(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება ანაზღაურებულია .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო	ჩააბარა
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	2. მთავარი ბუღალტერი
ბ. ა.	ბ. ა.

ALGORITM
www.algoritm.ge
ქ.ალმაშენებლის ფერდობის N2, კმ, თბილისი ტელ: 995 32 606000; 995 32 470470

დანართი №2

ფასების ცხილი

პრეტენდენტის დასახელება: შპს "ალგორითმი"

№	საქონლის დასახელება	საქონლის აღწერილობა	მწარმოებელი/ქვეყანა	განზ. ერთ.	რაოდ	ერთ. ფასი	საერთო ფასი	მოწოდების ვადა	მოწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	
1	პორტაბელური კომპიუტერი	**Lenovo G500G** **ეკრანი**: 15.6', LED ფონური განათებით, გარჩევადობა 1366x768; **პროცესორი**: I3-3110M 2.4 GHz, 2 ბირთვი, x86, x64 ბიტი, 3მბ L3 კეში, ნაკადების რაოდენობა 4; **ოპერატიული მეხსიერება**: 4096მბ DDR3 (1333MHz) **მყარი დისკი**:500გბ; ბრუნვის სიჩქარე 5400rpm; ინტერფეისის ტიპი SATA; ინტერგრირებული გრაფიკული და აუდიო ადაპტერები; **ქსელი**: (10/100/1000 Ethernet), უკაბელო ქსელის ადაპტერი (802.11 g/n,) **ინტერფეისი**: 1x VGA, 2x USB 2.0, 1x RJ-45, 1x კვების ბუდე; **ვებ კამერა, ხმის ადაპტერი** (ხმამაღლამოლაპარაკე, Stereo headphone/line out, Stereo microphone/line in). მაუსის პადი ორი ღილაკით. **კლავიატურა**: QWERTY.	Lenovo ჩინეთი	ცალი	20	841	16820	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.	ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. N144.

ფასები მოცემულია ლარში, დ.ღ.გ. ჩათვლით. 16820

სატენდერო წინადადების ფასი: თექვსმეტი ათას რვაას ოცი ლარი

პატივისცემით.

შ.პ.ს „ალგორითმი"-ს დირექტორი

გივი კორახაშვილი

ლეპტოპზე ვრცელდება 3(სამი) წლიანი საგარანტიო მომსახურება, რომლის მიხედვითაც, დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა შეაკეთოს ან შეცვალოს ახლით 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.